+

პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2025 წლის -- მაისი

ქ. წყალტუბო

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის " წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების 1 (ერთი) ერთეული როტაციური საცერის (Screen) უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა, მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 21 მაისის №48-482514142 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე ირიცხება ევროკავშირის (INTERREG VI-B) შავი ზღვის აუზის ქვეყნების NEXT პროგრამის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის - Smart4Rural" (პროექტის კოდი: BSB00464) ფარგლებში შესყიდული ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი 1 (ერთი) ერთეული როტაციული საცერი (Screen) და ითხოვს თანხმობას აღნიშნული დანადგარის ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის " უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 106[1]-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის " წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების 1 (ერთი) ერთეული როტაციური საცერის (Screen)) უ ს ა ს ყ ი დ ლ ო საკუთრებაში გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის მესამე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: მაია უგლავა

შეთანხმებულია

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: რ.დიდავა